სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო საათაშვილი

მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები

(შედარებითი ანალიზი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია ჭიღლაშვილი,

პროფესორი

გორი

2020

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია გარკვეული ანალიზი ძველ და თანამედროვე საოჯახო სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. კერძოდ, საუბარია ოჯახის ინსტიტუტზე და მის მნიშვნელობაზე, მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ საკითხებზე, უფლება-მოვალეობებზე, როგორც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ისე ისტორიულ ჭრილში.

განხილულია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის წესი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, მათ შორის ქორწინების პერიოდში შეძენილ უძრავ ნივთებზე წარმოშობილი სასამართლო დავები; თანასაკუთრების გაყოფის წესი და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა მიერ, თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების სამართლებრივ ხარვეზები.

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულების თავისებურებებზე, კანონის მოთხოვნათა თანაფარდობაზე, საქორწინო ხელშეკრულების შეცლასა და შეწყვეტაზე; მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულების საკითხებზე, - სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილი პირის შემთხვევაში; სარჩოს განსაზღვრის წესზე, რჩენის მოვალეობიდან განთავისუფლებისა და სარჩოს მიღების მოსპობაზე.

ზემოაღნიშნული საკითხები ძირითადად შესწავლილი და დამუშავებულია საქართველოსა და უცხო ქვეყნების კანონმდებლობების მიხედვით, წარმოდგენილ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით.

Annotation

Nino saatashvili

Legal grounds for the emergence of rights and duties of spouses

(comparative analysis)

The present paper presents some analysis of various topical issues of ancient and modern family law. In particular, we are talking about the institution of the family and its importance, legal issues of spousal co-ownership, rights and obligations, both in the current legislation and in the historical context.

The rule of division of the joint property of the spouses and related issues are discussed, including court disputes over real estate purchased during the marriage; The rule of division of co-ownership and legal deficiencies of the property acquired during the cohabitation by the spouses in unregistered marriage.

The master's thesis deals with the peculiarities of the marriage contract of the spouses, the ratio of the requirements of the law, the modification and termination of the marriage contract; On issues of mutual obligation of spouses - in the case of a person authorized to receive alimony; On the rule of determining the alimony, dismissal from the duty of stay and extinction of the alimony.

The above-mentioned issues are mainly studied and processed in accordance with the legislation of Georgia and foreign countries, based on the examples of literature and case law related to the presented topic.

სარ ჩევი

შესავალი....4

თავი 1. ოჯახის ინსტიტუტი ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში....9

§ 1.1 ქორწინების ნებაყოფლობითი პრინციპი....9

§ 1.2 ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები....12

§ 1.3 ფაქტობრივი ქორწინების თავისებურებები....15

§ 1.4 განქორწინების სამართლებრივი საფუძველი....17

თავი 2. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები....20

§ 2.1 მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი....20

(დისკრიმინაციის აკრძალვა)....20

§ 2.2 მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები....22

§ 2.3. მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი, ქონების გაყოფა....24

§ 2.4. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება....27

თავი 3. მეუღლეთა სახელშეკრულებო ურთიერთობები....29

§ 3.1 საქორწინო ხელშეკრულების ცნება და შინაარსი....29

§ 3.2 საქორწინო ხელშეკრულებისა და კანონის მოთხოვნათა თანაფარდობა....31

§ 3.3 საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოში....33

§ 3.4 საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები....34

თავი. 4 მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა....36

§ 4.1. სარჩოს მიღების სამართლებრივი საფუძვლები და მიღებაზე უფლებამოსილი პირი .36

§ 4.2 სარჩოს ოდენობის განსაზღვრის წესი....38

§ 4.3 სასამართლოს მიერ რჩენის მოვალეობისაგან გათავისუფლება/ განსაზღვრული ვადით შეზღუდვა....40

§ 4.4 სარჩოს მიღების უფლების მოსპობა....42

დასკვნა....43

გამოყენებული ლიტერატურა....45

შესავალი

ოჯახი ყველა თაობის ცნობიერებაში ასოცირდება ოჯახის წევრებთან, ძირითად ოჯახის წევრებად კი მოიზრებიან ცოლი, ქმარი და შვილები, იგი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს სახლს, კარს და სასახლეს, რომელიც თავის ჭერქვეშ გულისხმობს ქმარსა და თავის ცოლ-შვილს.

საქართველოში, ცოლ-ქმრის სინონიმია მეუღლე. ეს სიტყვა უკეთ გამოხატავს პირველყოფილი ოჯახის არსს, ისინი შრომობენ, ქმნიან, აშენებენ, იღვწიან, იცავენ, ზრდიან და მრავლდებიან.

ოჯახის შექმნის მიზანი ემსახურება ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას. ოჯახის შექმნის საფუძველს კი უხსოვარი დროიდან წარმოადგენს ქორწინება, რელიგიური თუ სამოქალაქო, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ადამიანური არსებობისა და ურთიერთობის საუკეთესო შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარებასთან ერთად თანდათან იცვლებოდა ოჯახში მეუღლეთა უფლებები. გარკვეული საკითხების გადაწყვეტა და მოგვარება, ჩვეულებითი სამართლით იყო შესაძლებელი, თუმცა მოგვიანებით მათი ადგილი სამართლებრივმა ნორმებმა დაიკავეს.[1] ხალხის განვითრებამ, შემდეგში უკვე ქართულმა სამართლებრივმა პრაქტიკამ განაპირობა ის, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა ახლებურად მოწესრიგებულიყო, შესაბამისად ქმნიდნენ სამართლის ცალკეულ დარგებს, მათ შორის სამოქალაქო სამართალს, რომელიც რიგ საკითხებთან ერთად მოიცავდა საოჯახო სამართალს. ახალი დროის შესაბამისი საოჯახო სამართლებრვი ნორმების ერთობლიობა მოთავსდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთხე წიგნში.[2]

---

[1] (ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 5)

[2] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.გვ. 8

კანონმდებლობით განმარტებულია, რომ საოჯახო სამართალი არის ნორმათა ის ერთობლიობა, რომელიც ოჯახის წევრებს შორის წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობას არეგულირებს. ეს ურთიერთობები შეიძლება ყოფილყო როგორც პირადი, ისე ქონებრივი ხასიათის. ამ ურთიერთობების ერთი ნაწილი ზნეობრივი, ხოლო მეორე სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება.[3]

კაცობრიობის ისტორიიდან ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი საზოგადოებრივი ინსტიტუტი ოჯახია, სადაც ხდება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება. აღნიშნული საკითხი თავისი მნიშვლობიდან გამომდინარე დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ოჯახი საზოგადოების ძირითადი უჯრედია და სწორედ მის სიმტკიცეზეა დამოკიდებული არამარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობა, არამედ საზოგადოების წინსვლა და წარმატება, რომელიც ხელს უწყობს მყარ და სტაბილური სახელმწიფოს წარმოქმნას.[4]

ოჯახში, როგორც წესი მოიაზრება მეუღლეთა შორის ურთიერთობა, უფლება-მოვალეობები კი წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინებით, რომელსაც სახელმწიფო ადგენს. აღნიშნული წარმოადგენს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს.

რათქმა უნდა მნიშვნლეოვანია ის საკითხიც, რომ რეგისტრირებული ქორწინების გარდა არსებობს რელიგიური ქორწინება, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ქორწინება არც რელიგიური, და არც კანონითაა რეგისტრირებული, მაგრამ არსებობს მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრება. ფაქტობრივი ქორწინება (თანაცხოვრება) და რელიგიური ქორწინება რეგისტრირებული ქორწინებისგან განსხვავებით, არ წარმოშობს მეუღლეებისათვის უფლება-მოვალეობების სამართლებრივ საფუძველს.

სსკ 1106 - მუხლი ზუსტად განმარტავს ქორწინების ცნებას ,,ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში

[3] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი".გვ.1

[4] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი".გვ.7

მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომ-საგენტოს ტერიტოტიული სამსახური)'', რის შემდეგაც გაიცემა მათზე ქორწინების მოწმობა, როგორც კანონიერი ქორწინების გარანტი. [5]

მოსახლეობის უმრავლესობა ქორწინების რეგისტრაციას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რადგან ერთ შემთხვევაში ან არ იციან მისი სამართლებრივი მნიშვნელობა, ან გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ რაც არ უნდა მოხდეს მათ ცხოვრებაში, მეუღლეთა დაშორება დაუშვებელია და ამიტომ გასაყოფი (თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება) მაინც არაფერი ექნებათ.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არარეგისტრირებულ მეუღლეთა ქონება, რომელიც თანაცხოვრების პერიოდში ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთობლივი სახსრებით, შრომით, საოჯახო მეურნეობის ერთობლივი გაძღოლით შეიძინეს რჩება მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისათვის დადგენილი წესების მიღმა, რადგან მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრება სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების არსებობისას. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები მიუხედავად მათი მრავალწლიანი თანაცხოვრებისა არ ჩაითვლებიან დაქორწინებულ პირებად, შესაბამისად რეგისტრაცია შესაბამის ორგანოში აუცილებელია, რადგან სხვანაირად ვერ წარმოიშობა სამართლებრივი შედეგები, რაც გარკვეულწილად უსამართლობას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კანონი სამოქალაქო რეესტრში ქორწინებას არ ათანაბრებს მართლმადიდებლურ ჯვრისწერასთან, ან სხვა რელიგიურ ურთიერთკავშირთან, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლის მიხედვით აღიარებს ჯვრისწერას, თუმცა რეგისტრაცია შესაბამის ორგანოში მაინც აუცილებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქორწინების წესთან ერთად კანონი არეგულირებს ქორწინების რეგისტრაციის პირობებსაც. სსკ 1107-ე მუხლის თანახმად დაქორწინებისთვის აუცილებელია: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა

[5] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ.25

თანხმობა. საქართველოს კანონმდებლობით დასაქორწინებელ პირთა ასაკი არის 18 წელი, თუმცა კოდექსში ცვლილებამდე დასაქორწინებელ პირთა ასაკად შესაძლოა განსაზღვრულიყო 16 წელი, მხოლოდ მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ცვლილების შეტანის შემდეგ ეს მინიმალური ასაკი დადგინდა მეუღლეთა და მათი შვილების ჯამრთელობის დაცვისა და განათლების მიღების მიზნით. [6]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში სამართლებრივი ჩანაწერის გარეშე ყველა თაობის ცნობიერებაში მოიაზრებდნენ ორი საპირისპირო სქესის: ქალისა და მამაკაცის კავშირს, ჯერ კიდევ იმ დროისთვის აუცილებელ პირობას სქესთა სხვადასხვაობა განაპირობებდა. ქორწინებას უფროსი ასაკის ადამიანები კურირებდნენ და ისინი იღებდნენ გადაწყვეტილებებს.

დასაქორწინებელ პირთათვის უცნობი იყო ერთმანეთის ვინაობა, ან შესაძლოა მხოლოდ მამკაცისთვის ყოფილიყო ცნობილი ქალის შესახებ ინფორმაცია და ქორწინებაც დამოკიდებული ყოფილიყო მხოლოდ კაცის ნებაზე, და არა ურთიერთშეთანხმებაზე. არ შეეძლოთ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ერთმანეთში ქორწინება, დასაქორწინებელი პირები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ერთი წრის წარმომადგენლები. დღეს კი განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ქორწინება ხდება დასაქორწინებელ პირთა თანხმობით და კრძალავს იძულებით ქორწინებას. მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქორწინებლ პირთა ნება დაქორწინებასთან მიმართებით, რომელიც მეტწილად განაპირობებს ქვეყანაში საოჯახო ურთიერთობების სიმტკიცეს.

ნაშრომის მიზანია - სამეცნიერო ლიტერატურის, საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე **მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების** განხილვა, ჩვენი მოსაზრებების შეთავაზება და ანალიზის წარმოდგენა.

კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი და ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდები.

---

[6] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.გვ 73

შესავალ ნაწილში საუბარია საკვლევი თემის აქტუალობაზე, მიზანზე, გამოყენებული კვლევის მეთოდებზე და წარმოდგენილია ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია კვლევის მიზნებით, ამოცანებითა და შინაარსით. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 53 გვერდს. იგი შედგება ანოტაციისაგან, შესავალისაგან, 4 თავისა და 16 ქვეთავისგან, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

პირველ თავში საუბარია ოჯახის ცნებაზე, ქორწინების სამართლებრივ ბუნებაზე, ქორწინების ფორმასა და წესზე.

მეორე თავი მოიცავს ქორწინების რეგისტრაციის წესს, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას, ასევე საუბარია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობაზე, მეუღლეთა პირად უფლებებზე, მეუღლეთა ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე, მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ რეჟიმსა და მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებაზე. აქვე განხილულია ქორწინების განმავლობაში შეძენილ უძრავ ნივთზე მეუღლის თანასაკუთრების უფლების სამართლებრივი ბუნება.

მესამე თავი ეხება საქორწინო ხელშეკრულებას და მის მნიშვნელობას, საქორწინო ხელშეკრულებისა და კანონის მოთხოვნათა თანაფარდობას, ასევე საქორწინო ხელშეკრულების დადებისა და მისი ბათილობის შედეგების წარმოჩენას.

მეოთხე თავში კი განხილულია მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მეუღლეთა სარჩოს მიღების სამართლებრივი საფუძვლები და მის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულება, საუბარია ასევე სარჩოს ოდენობის განსაზღვის წესზეც.

დასკვნაში თავმოყრილია სამაგისტრო ნაშრომში განხილული თემატიკა და შესაბამისად წარმოჩენილია არსებული პრობლემები. მთლიანობაში ნაშრომში გადმოცემულია ჩვენი მოსაზრებები, შეხედულებები და წინადადებები მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხებთან მიმართებით.

თავი 1. ოჯახის ინსტიტუტი ძველ ქართულ და თანამედროვე სამართალში

§ 1.1 ქორწინების ნებაყოფლობითი პრინციპი

ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, როგორც ცნობილია სამყაროს შექმნის დღიდან ჩაეყარა საფუძველი. ბიბლია გვამცნობს, რომ ღმერთმა პირველქმნილ ადამიანს-კაცს, ადამს თანამშემწედ ევა მოუყვანა „და თქვა ღმერთმან, არა კეთილ არს ყოფად ამის მარტოსა, უქმნეთ მას მსგავსი მისი“, ხოლო როდესაც ადამმა იხილა ევა თქვა: „აწ ესე გუალი გუთლა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი. ამას ეწოდოს ცოლ რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოღებულ იქნა იგი“. ბიბლია აქვე განმარტავს, რომ „დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა“ და მას შემდეგ იყვნენ ორივე ერთ ხორც.[7] ღმერთმა დალოცა და აკურთხა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა (შემდეგში ოჯახის), რომელიც ურთიერთთანხმობაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთდახმარებაზე და ურთიერთშემწეობაზე იქნებოდა აგებული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რადგან ღმერთმა თავისუფალი დაბადა ადამიანი, მათი ურთიერთობაც ურთიერთთანასწორი იქნებოდა.

„ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად ნიშნავს კერას, სახლს, სახლეულს. იგი ძველ ქართულში არ გვხვდება. მის სინონიმად გამოიყენებოდა „სახლი“, რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისაგან შემდგარი პატარა ერთობის აღმნიშვნელი იყო. „ოჯახი“ შუა საუკუნეებიდან ჩაენაცვალა სახლს. მის პარალელურად დამკვიდრდა „კომლის“ ცნებაც.“[8]

თანამედროვე გაგებით „ოჯახი“ შინაარსობრივად იგივე მნიშვნელობისაა, თუმცა სპეციფიკური თავისებურებით გამოირჩევა. არსებობს ოჯახის ზოგად-სოციოლოგიური და სპეციალურ-სამართლებრივი ცნება.

---

[7] ბიბლია

[8] ((ივ, ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი რ.მეტრეველი,. თბილისი 2002. გვ 516, 597))

სოციალური გაგებით ოჯახი არის პირთა ქორწინებაზე, ნათესაობასა და ბავშვის აღზრდაზე დაფუძნებული კავშირი, რომელიც განპირობებულია ერთად ცხოვრების, ინტერესთა ერთიანობისა და ურთიერთზრუნვის ფაქტორით. სამართლებრივი გაგებით, ოჯახი არის იმ პირთა წრე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ქორწინების, ნათესაობის, შვილად აყვანის ან ბავშვის აღსაზრდელად მიღების სხვა ფორმების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებითა და მოვალეობებით. [9]

ადრეულ საუკუნეებში, როცა ადამიანები ჯერ კიდევ ჯოგებად ცხოვრობდნენ, მათ შორის არ არსებობდა არავითარი ზღვარი. ჯოგის ყველა ქალი ეკუთვნოდა ყველა მამაკაცს. ჩამოყალიბდა გვაროვნული თემი, ადამიანების პირველი საოჯახო ფორმა. აქ სქესობრივი ურთიერთობა გამოირიცხებოდა მხოლოდ მშობლებსა და შვილებს, წინაპრებსა და შთამომავლებს შორის. ამის შემდგომ აიკრძალა და–ძმებს შორის სქესობრივი კავშირი. ამ დროს ბავშვის წარმოშობა დედის მეშვეობით განისაზღვრებოდა. ბავშვი მიეკუთვნებოდა დედის გვარს. [10]

მატრიარქატის განვითარებამ საფუძველი დაუდო წყვილად ქორწინებაზე გადასვლის პროცესს. ამ დროს გაჩნდა პრიმიტიული საქროწინო ცერემონიალის ფორმებიც. გაჩნდა მრავალცოლიანობა, ერთი მამაკაცის რამდენიმე დაზე დაქორწინება და ა.შ. ამის შემდეგ უკვე მამაკაცი ხდებოდა გვაროვნული თემის და შემდეგ ინდივიდუალური ოჯახის მეთაური. ცოლი საკუთრებად მიიჩნეოდა და სამართლის ობიექტს წარმოადგენდა. ცოლი და შვილები ამ დროს მამაკაცის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. მამაკაცის უფლებები ფართოვდებოდა. [11]

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობები, რომელსაც საფუძვლად დაედო ქორწინების ინსტიტუტი, სადაც ყოველგვარი სამართლებრივი ჩანაწერის გარეშე ყველა თაობის ცნობიერებაში მოიზრებდნენ ორი საპირისპირო სქესის: ქალისა და მამაკაცის კავშირს, რომლისთვისაც საკმარისი იყო ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რელიგიური ან პოლიტიკური ერთიანობა. როგორც

---

[9] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“, გვ. 10, გვ.11,გვ.12.

[10] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.

[11] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.

წესი, ასეთ შემთხვევაში იშვითად ხდებოდა სიყვარულით კავშირი. ქორწინებას უფროსი ასაკის ადამიანები კურირებდნენ და ისინი იღებდნენ გადაწყვეტილებებს. დასაქორწინებელ პირთათვის უცნობი იყო ერთმანეთის ვინაობა, ან შესაძლოა მხოლოდ მამაკაცისთვის ყოფილიყო ცნობილი ქალის შესახებ ინფორმაცია. ქალისა და მამაკაცის კავშირის მიზანი იყო ოჯახის შექმნა.

ქორწინების წესის დამკვიდრებამ საქართველოში ძალიან რთული და გრძელი გზა გაირა. ქართული სამართლის ისტორიაში საუბარია თუ როგორი ქორწინების წესი ჰქონდათ ქართველებს, ოსებს და სომხებს.

„ქართული სამართლის ისტორიის“ მიხედვით ქორწინების წესზე ცნობები მხოლოდ იმ დროიდან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. ქრისტიანობამ ბევრი წარმართობის წესი ამოიღო და საკუთარი წესები შემოიღო, მათ შორის ქორწინების წესი, რის შემდეგაც აუცილებელი გახდა ცოლქმრისთვის საეკლესიო ლოცა-კურთხევა და გვირგვინთა კურთხევა. [12] თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის აღნიშნული ქორწინების წესი არ იყო სავალდებულო და არც დღევანდელ რეალობაში არ არის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმ დროისთვის ძალიან დაკნინებული იყო ქალის როლი, რომელიც იმ ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი. უფრო მეტიც, ქორწინების არანაირი ნებაყოფლობის პრინცი არ არსებობდა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინების წესზე და ნებაყოფლობის პრინციპზე ვსაუბროთ, დასკვენებს ან შეფასებას ყოველთვის წარსულიდან გამომდინარე ვაკეთებთ და მივდივართ იქამდე, რომ მნიშვნელოვან განსახილველ თემად ქალის უფლელები რჩება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქორწინების ნებაყოფლობასთან, რადგან იმ დროისათვის ქორწინებისთვის მხოლოდ მამაკაცის სურვილიც კი საკმარისი იყო, შესაბამისაც მას უფლებებიც მეტი ჰქონდა.

საზოგადოების ფორმაციასთან ერთად შეიცვალა და განმტკიცდა ქალის უფლებები, მათ შორის ქორწინების წესის (პირადი ცხოვრების) თვალსაზრისით და დღეს უკვე

[12] ი.ჯავახიშვილი. (1928). *ქართული სამართლის ისტორია* (ხმა წიგნი პირველი). ტფილისი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლში გაწერილია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, სადაც განმარტებულია, რომ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია და ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არის შესაძლებელი. [13] ამასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კიდევ უფრო აკონკრეტებს ქორწინების წესს და 1106-ე მუხლში განმარტავს, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი,[14] აღნიშნულს კი ამყარებს ლიტერატურა „ქალთა უფლებები და სახელმწიფო დაცვის მექანიზმების შესახებ“, სადაც წერია, რომ ქორწინებისას აუცილებილია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა, დაუშვებელია რაიმე სახის იძულება მათ გადაწყვეტაზე. [15]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს პირობას, რომლის თანახმადაც დასაქორწინებელ პირთა თანხმობასთან ერთად საჭიროა საქორწინო ასაკი, 18 წელი.[16] უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსში ცვლილებამდე დასაქორწინებელ პირთა ასაკად შესაძლოა განსაზღვრულიყო 16 წელი, მხოლოდ მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ცვლილების შეტანის შემდეგ მინიმალური ასაკი დადგინდა მეუღლეთა და მათი შვილების ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მიღების მიზნით.

1.2 ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ქორწინების წესსა და პირობებს, ასევე განსაზღრავს იმას, თუ რა შემთხვევაშია დაუშვებელი ქორწინება და რა არის დამაბრკოლებელი გარმოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის მიხედვით ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული და ქორწინება არ დაიშვება:

---

[13] (საქართველოს კონსტიტუცია)

[14] (საქართველოს სამოქალო კოდექსი)

[15] თეონა აბსანძე, თ. ქ. (2019). *ქალთა უფლები და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები.* თბილისი.

[16] (საქართველოს სამოქალო კოდექსი)

ა) იმ პირთა შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვასთან,[17] რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება დაქორწინებისას იმ პირის საქორწინო რეგისტრაციაში გატარება, რომელიც უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე. ახალი ქორწინება კი შესაძლებელია მხოლოდ განქორწინების შემდეგ. აქ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ერთქორწინების პრინციპი.[18] ერთქორწინების პრინციპი კი მყარი და მტკიცე ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ორცოლიანობა კი დაუშვებელია როგორც კანონით, ისე ზნეობრივადაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბუნებრივია საუბარია ჯერ კიდევ ქორწინებში მყოფი პირის განქორწინების გარეშე კვლავ რეგისტრირებული ქორწინების დაუშვებლობაზე, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თუ პირი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ცხოვრობს მეუღლესთან, რომელთანაც საერთო სამეურნეო საქმიანობას ეწევა და შემდეგ მოინდომებს სხვასთან რეგისტრირებულ ქორწინებას ოჯახის შექმნის მიზნით, ან თუნდაც არ იყოს ეს ქორწინება ოჯახის შექმნის მიზანი, ორცოლიანად (ან ორქმრიანობად) არ ჩაითვლება, თუმცა რა თქმა უნდა გაუმართლებელია როგორც ზენობრივად, ისე მორალურად, თუ ამასთან დაკავშირებით მეუღლეები წინასწარ განქორწინებაზე არ იქნებიან შეთანხმებული.

მეორე დამაბრკოლებელი გარემოება არის და ქორწინება არ დაიშვება :

ბ) პირდაპირ აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესვაბეს შორის,[19] რაც საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპადაა აღიარებული. ასევე აკრძალულია ქორწინება

გ) ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის,

დ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის.

აკრძალულია დაქორწინება პირდაპირი ხაზის ყველა ხარისხის ნათესავებს შორის. კერძოდ კი, პაპა-ბებიას, მშობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს შორის. აღსანიშნავია, რომ „შვილად აყვანა არ წარმოშობს ნათესაურ ურთიერთობას, ერთი მხრივ, მშვილების და მეორე მხრივ, ნაშვილების ნათესავებს შორის. ამიტომ მათ შორის ქორწინება დასაშვებად უნდა ჩაითავლოს. კანონი მხოლოდ მშვილებელსა და

[17] (საქართველოს სამოქალო კოდექსი)

[18] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი“)

[19] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)

ნაშვილებს შორის ქორწინებას კრძალავს.[20] არ შეიძლება გაშვილებული პირი მომავალში დაქორწინდეს თავისი პირდაპირი ხაზის ნებისმიერი ხარისხის ბიოლოგიურ ნათესავზე, ან თუნდაც ნახევარ დაზე(ძმაზე), მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ნათესაობაზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვეტილია გაშვილების მომენტიდან.

რაც შეეხება გვერდითი ხაზის ნათესავების სიას, აქ მხოლოდ ყველაზე ახლო ხარისხის ნათესავები მოიაზრებიან - დებსა და ძმებს შორის იკრძალება ქორწინება. [21] ახლო ნათესავებს შორის ქორწინება მორალურად და ზნეობრივად გაუმართლებელია, თუნდაც ეს ასე არ იყოს, მეცნიერულ, მედიკობილოგიური მოსაზრებიდან გამომდინარე აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე, რადგან სისხლის აღრევამ შეიძლება გამოიწვიოს გარეგნულად შეუმჩნევადი (ან შემჩნევადი) პათოლოგიური გადახრები. [22]

ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვას საფუძვლად უდევს საქართველოში საუკუნეების მანძილზე საზოგადოებაში გავრცელებული წეს-ჩვეულება და ზნეობრივი დამოკიდებულება.

ქრისტიანობის გავრცელებამდე შესაძლებელია, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, და სხვა ახლო ნათესავებს შორის კავშირი. ქრისტიანობის შემდეგ კი ეკლესიამ განსაზღვრა ნათესავებთა შორის საქორწინო ურთიერთობის ჩარჩოები, ასევე საფუძველი ჩაეყარა სულიერ ნათესაობას, რომლის საფუძველი ნათლიობა იყო და რომელიც სისხლით ნათესაობაზე მეტად მნიშვნლოვანად მიაჩნდათ. მიუხედავად იმისა, რომ ნათესავებს შორის აკრძალული იყო ქორწინება, დარღვევა მაინც ხდებოდა, ეს კი უმეტესწილად პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხდებოდა, ამ შემთხვევაში კი ნათესავებს შორის ქორწინებაზე ეკლესია თვალს ხუჭავდა.[23]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ასევე თვლის..

---

[20] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი გვ.83

[21] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი)

[22] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი)

[23] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი)

ე) იმ პირთა შორის ქორწინებას, რომელთაგან თუნდაც ერთი მხარდაჭერის მიმღებია.[24] ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი ადამიანი არის სულით ავადმყოფი ან ჭკუასუსტი, რომლის გამოც მას არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედება (ქორწინება), არ შეუძლია გააცნობიეროს ოჯახის მნიშვნელობა, შესაბამისად არ შეუძლია იგრძნოს პასუხიმგებლობა ოჯახის წინაშე, სწორედ აქედან გამოდინარე არ ითვლება ასეთი ადამიანი საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად.

ჯანმრთლობასთან დაკავშირებულ სხვა ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას საქართველოს სამოქალო კოდექსი არ ცნობს, ამიტომ თუნდაც ფიზიკური ნაკლი (თანდაყოლილი ან შეძენილი), ან სხვა რაიმე სერიოზული დაავადება არ წარმოადგენს ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას, რადგან ვისაც ასეთ ადამიანებთან სურთ ქორწინება ვფიქრობთ, მათი არჩევანი, მათი უფლებაა.

§ 1.3 ფაქტობრივი ქორწინების თავისებურებები

როგორც წინა თავში ვახსენეთ ქორწინება შეიძლება იყოს რეგისტრირებული ან რელიგიური წესით შესრულებული, ამის გარდა არსებობს ფაქტობრივი ქორწინება. სსკ–ის მიხედვით, ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღლეობრივ უფლებამოვალეობებს, როცა ხდება მისი რეგისტრაცია შესაბამის ორგანოში. რეგისტრაცია კი წარმოადგენს ქორწინების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ქალისა და მამაკაცის კავშირი თუ არ არის რეგისტრირებული შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით ქორწინებად არ ითვლება და წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის მხოლოდ თანაცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა აღიარებს რელიგიურ ქორწინებას ანუ ჯვრისწერას, ის მაინც არ არის გათანაბრებული რეგისტრირებულ ქორწინებასთან.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ფაქტობრივ ქორწინებას ანიჭებს უპირატესობას, ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ არ იციან ფაქტობრივი ქორწინების სამართლებრივი მნიშვნელობა, ან წარსული, მენტალიტეტი, აღზრდა ახდენს მათზე გავლენას და ფიქრობენ, რომ არ არის საჭირო რეგისტრირებული

[24] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)

ქორწინება, რადგან, როცა ოჯახი იქმნება (ქალი თხოვდა) ის ვალდებულია ყველაფრის მიუხედავად ბოლომდე შეინარჩუნოს ოჯახი, სანამ ამას ქმარი არ გადაწყვეტს ან უბრალოდ არარეგისტრირებული ქორწინებაა მათი არჩევანი.

ფაქტობრივი ქორწინება ანუ თანაცხოვრება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და რაც არ უნდა იყოს ფაქტობრივი ქორწინების მიზეზი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც სხვა რაიმე რელიგიური ქორწინება და არც ფაქტობრივი ქორწინება არ წარმოშობს სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს, რადგან ითვლება, რომ თუ არ არსებობს რეგისტრირებული ქორწინება, არც ოჯახი არსებობს და განქორწინების (გაყრის) შემთხვევაში გვხვდება დიდი სირთულე სამართლებრივი კუთხით, მიუხედავათ იმისა თუ რამდენი ხანი ცხოვრობდა ცოლ-ქმარი ერთად, ეწეოდნენ თუ არა საერთო საოჯახო-სამეურნეო საქმიანობას და ა.შ. სირთულე იმაში მდომარეობს, რომ რეგისტრირებული ქორწინებისგან განსხვავებით, რთულდება ფაქტობრივ ქორწინებაში დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის და ასევე შვილად აყვანის საკითხიც. განქორწინების შემთხვევაში სადაო ხდება ქონება, რომელიც მეუღლეებმა თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს, ან ასეთი ქონება არ არის რეგისტრირებული, თუ მხარეები ზეპირსიტყვიერად არ შეთანხმდებიან ქონების გაყოფაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სასამართლოს გზით მოუწევთ იმის მტკიცება თუ ვინ რა ქონება შეიძინა და როგორ გაიყოფა.

ყველზე დიდ სირთულეს წარმოადგენს განქორწინებისას ბავშვის საკითხი, რადგან თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან თუ ვისთან იცხოვრებს ბავშვი, ამ საკითხის გადაწყვეტაც სასამართლოს მეშვეობით მოხდება, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის საცხოვრებელ ადგილს და მეორე მხარისთვის დააწესებს ბავშვის ნახვის დღეებს და ალიმენტის გადახდის ვალდებულებას.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მიშვნლოვანია ხაზი გაესვას იმ საკითხს, რომ რეგისტრირებული ქორწინება მეუღლეთა შორის წარმოშობს მხოლოდ სამართლებრივ უფლება-მოვალეობას, სხვა მხრივ კი მორალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

§ 1.4 განქორწინების სამართლებრივი საფუძველი

მართლია, რომ ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით სიყვარულს, ურთიერთ პატივისცემას და სიმტკიცეს ემყარება, მაგრამ დროთა განმვალობაში შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რომ ცხოვრებისეულმა სირთულემ, მეუღლეთა შორის უთანხმოებამ და ბევრმა სხვადასხვა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს ქორწინების შეწყვეტა.

ქორწინების შეწყვეტა უსიამოვნო პროცესია შვილებისათვის, რადგან ყველა შვილს სურს დედ-მამის ერთად ცხოვრება, თუმცა მშობლები, რომლებიც გამუდმებით კამათობენ, ჩხუბობენ და ამ ფაქტის მოწმე შვილები ხდებიან, ვფიქრობთ უფრო დიდ ტრავმას იღებენ ბავშვები. არც იმ მოსაზრებას ვეთანხმებით, როცა ცოლ-ქმარი შვილებისგან ჩაკეტილად კამათობენ, თითქოსდა ბავშვების ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან არიდების მიზნით, თუმცა შვილებზე მაინც მტკივნეულად აისახება მშობლების ერთმანეთთან უთანხმოება, რაც კიდევ უფრო მეტ ზიანს აყენებს მოზარდებს.

ადრეულ პერიოდში განქორწინების მიზეზი შესაძლოა ყოფილყო ღალატი ქალის მხრიდან, ამ დროს კაცს შეეძლო იგი სახლიდან გაეგდო, თუმცა ცოლის ინიციატივით ქორწინების შეწყვეტა დაუშვებელი იყო, რადგან ითვლებოდა, რომ კაცის რეპუტაცია ილახებოდა. აქედან გამომდინარე, ქალთა უფლებების დარღვევას ჰქონდა ადგილი. „ქრისტიანობის გავრცელების პერიოდიდან მოყოლებული განქორწინება თანდათან იზღუდებოდა. ფეოდალიზმის პერიოდში, როცა სამართალმა რელიგიური იდეოლოგიის გავლენა განიცადა, ქორწინების „თავისუფლება“ დროთა განვალობაში დავიწყებას ეძლეოდა.“[25]

ცივილიზაციასთან ერთად, საოჯახო სამართალი უფროდაუფრო იხვეწებოდა და დღესდღეობთ სამოქალაქო კოდექსი ქორწინების შეწყვეტის საკითხს შემდეგი სახით აყალიბებს, - როგორც ქმარს ასევე ცოლს აქვს ქორწინების შეწყეევეტის მოთხოვნის უფლება ან ორივეს შეთანხმებულად შეუძლიათ გადაწყვიტონ განქორწინება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1122-მუხლის მიხედვით არსებობს ქორწინების შეწყვეტის საფუძველები:

[25] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი)

ა) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება

ბ) კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადება, გ) განქორწინება.[26]

პირველ და მეორე შემთხვევაში არ არის საჭირო მოხდეს ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაცია, საჭიროა მხოლოდ გარდაცვალების მოწმობა, ან სასამართლოს მიერ დაფიქსირებული უნდა იქნას გარდაცვალების ფაქტი. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან გარდაცვალების ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში ცოცხალ მეუღლეს აქვს ხელახალი დაქორწინების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლე ცოცხალი აღმოჩნდება, ქორწინება ავტომატურად აღუდგება მისი თანხმობის შემთხვევაში.[27]

არავის არ აქვს უფლება, იძულებით ამყოფოს მეუღლეები ქორწინებაში. განქორწინების მსურველ მეუღლეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს.[28] იმ შემთხვევაში თუ მეუღლეები შეთანხმებულად გადაწყვეტენ განქორწინებას, რომელიც რეგისტრირებულია მეუღლეთა სურვილით, მათი განქორწინება მეუღლეთა ნების საფუძვლით მოხდება. რეგისტრაციის ორგანოში განცხადების მიმართვით შეუძლიათ წყვილს მოაგვარონ ეს საკითხი, სადაც უნდა დააფიქსირდეს, რომ ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პრეტენზიები და თანახმა არიან განქორწინებაზე.

ასევე შეუძლიათ შეთანხმდნენ და მოაგვარონ შვილების ყოლის შემთხვევაში მათი საცხოვრებელი ადგილი და განსაზღვრონ მეორე მეუღლისთვის შვილების ნახვის დღეები და ალიმენტის გადახდის საკითხიც.

რთულდება განქორწინების საკითხი თუ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის სურვილს წარმოადგენს და მეორე უარზეა. ამ შემთხვევაში ხდება სასამართლოსთვის მიმართვა, ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან, რომელიც გადაწყვეტს მეუღლეთა განქორწინების, ქონების გაყოფის ან შვილების საცხოვრებელი ადგილისა და ალიმენტის განსაზღვრის საკითხს.

რაც შეეხება განქორწინებას, რომელიც ფაქტობრივი ან რელიგიური ხასიათისაა, ამ საკითხს რა თქმა უნდა კანონმდებლობა ვერ დაარეგულირებს ვინაიდან, როგორც

---

[26] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)

[27] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი)

[28] (თეონა აბსანძე, თ. ქ. (2019). ქალთა უფლები და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები. თბილისი.)

წინა თავში აღვნიშნეთ არც ფაქტობრივ და არც რელიგიურ ქორწინებას არანაიარი სამართლებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია. ფაქტობრივი ქორწინების შემთხვევაში, როდესაც არ არის ქორწინება რეგისტრირებული, მეუღლეებს შეუძლიათ საკუთარი სურვილის და შეთანხმების საფუძველზე გაეყარონ ერთმანეთს, მოაგვარონ ქონების გაყოფის ან შვილების საცხოვრებელი ადგილის საკითხიც, თუმცა უთანხმოების შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით მოაგვარონ აღნიშნული დავა.

რაც შეეხება ჯვრისწერის წესს, აღნიშნული პროცედურა ფაქტობრივი ქორწინებისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ თუ მეუღლეები იწერენ ჯვარს, განქორწინების შემთხვევაში ხდება ჯვრის აყრა, სხვა დანარჩენი საკითხი, რომელიც ძირითადად ქონების ან შვილების გამო ხდება, შეუძლიათ მოაგვარონ ურთიერთშეთანხმებით ან დავის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლო ვალდებულია მის კომპეტენციაში განსახილველი საკითხები დეტალურად გაიაროს, სერიოზულად მიუდგეს, განიხილოს და მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება განქორწინების საკითხიდან დაწყებული, ქონების გაყოფის, შვილების შემთხვევაში მათი საცხოვრებელი ადგილისა და ალიმენტის განსაზღვრით დამთავრებული.

აქვე დავამატებთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც განქორწინების დაუშვებლობას ეხება, 1123 -ე მუხლის მეორე ნაწილით - „ცოლის ორსულების დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არ აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე “. [29]

[29] (საქართველოს სამოქალო კოდექსი)

თავი 2. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

§ 2.1 მეუღლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი (დისკრიმინაციის აკრძალვა)

გამომდინარე იქიდან, რომ წყვილს ოჯახის შექმნისას მაინც უხდება გარკვეული გარემოების გადალახვა, ისიც უნდა გააცნობიეროს, რომ ოჯახის შექმნა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც მოსდევს უამრავი დაბრკოლება, ამ დაბრკოლებას კი გამკლავება და გადალახვა სჭირდება.

პასუხიმგებლობა მეუღლეებმა ერთად და თანაბრად უნდა იტვირთონ, დაეხმარონ ერთმანეთს როგორც პირად და ოჯახურ საკითხებში, ასევე საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების საკითხშიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როდესაც ოჯახში თანასწორუფლებიანობაზე ვსაუბრობთ, ავტომატურად გვიწევს საუბარი ქალის როლზე, მის უფლებებზე, მისი ადგილის დამკვიდრებაზე ოჯახსა თუ საზოგადოებაში და პარალელს ვავლებთ წარსულსა და აწმყოს შორის. რათქმაუნდა ვერ ვუარყობთ წარსულის „გადმონაშთს“, როცა დამკვიდრებული იყო ოჯახში, მხოლოდ მამაკაცის აქტიური როლი, იგი მუშაობდა და მას შეჰქონდა სარჩო ოჯახში, ის იყო ოჯახის უფროსი, ხოლო ქალი სახლსა და ბავშვებს უვლიდა.

იმ დროისათვის იგულისხმებოდა, რომ ქალი ქმრის, სახლისა და ბავშვების მოსავლელად თხოვდებოდა და იმაზე არავინ ფიქრობდა, რომ ქალსაც სჭირდებოდა პირადი სივრცე, ქალს არ გააჩნდა საკუთარი ქონება და ა.შ.

„როლების“ ასეთი გადანაწილება და მსგავსი „ტრადიციული ხასიათის ჩამოყალიბებას თავისი ისტორიული წინაპირობები ჰქონდა. როგორც ცნობილია, პირველყოფილი წყობილების დროს ქალებსა და მამაკაცებს განაწილებული ჰქონდათ მოვალეობები. უპირველესად მამაკაცებისთვის მნიშვნელოვანი იყო ნადირობა, ოჯახის საკვებით მომარაგება, ნაშიერის დაცვა მტაცებელი ცხოველებისაგან. ქალებს კი ბავშვების მოვლის გამო უწევდათ სახლში ყოფნა და შთამომავლობაზე ზრუნვა.“ [30]

[30] (https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38)

დროთა განმავლობაში ქალის როლი მნიშვნელოვანი განსჯის საგანი გახდა, ამ საკითხზე ყურადღებას რელიგიაც ამახვილებდა, „ათასწლეულების განმავლობაში ქალი მოკლებული იყო საშუალებას სრულად გამოევლინა თავისი ინტელექტი. ქრისტიანობა გამუდმებით ემუქრებოდა ქალს ანათემაზე გადაცემით და მის დაქვემდებარებულ მდგომარეობას ამტკიცებდა“.[31]

დღეს კი ქალისა და მამაკაცის თანაწორუფლებიანობა, როგორც გენდერული თანასწორობა ისე ჩამოყალიბდა და გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, შესაძლებლობების არსებობასა და მოვალეობების შესრულებას ოჯახსა და საზოგადოებაში.

საოჯახო ურთიერთობები ჩვენი მოსაზრებით სენსიტიური ხასიათის მატარებელია, რადგან ეს ყველაფერი ცნობიერებასთან და მორალთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ჩვენს ქვეყანაში პროგრესი შეიმჩნევა, მაინც „ხალხის ცნობიერებაში ფეხმოკიდებულია აზრი იმის შესახებ, რომ ქალის სოციალური და საზოგადოებრივი აქტივობა უარყოფითად მოქმედებს ბავშვებზე, ურთიერთობებზე ოჯახში და ა.შ. ასეთი წარმოდგენები ქალებში გარკვეული დანაშაულის გრძნობას იწვევს და მათ პროფესიულ ზრდას უშლის ხელს“. [32]

დღესდღეობით თანასწორუფლებიანობაზე და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე გვიწევს საუბრი. საქართველოს სამოქალაქო კოდესის 1152 მუხლში წერია: „საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი“.[33] ხოლო 1153 მუხლის მიხედვით: „დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით“.[34] როგორც ვხედავთ საოჯახო ურთიერთიერთობები

[31](https://idfi.ge/ge/gender_equality_and_improving_economic_participation_by_girls_and_women_sdgs_georgia)
[32](https://idfi.ge/ge/gender_equality_and_improving_economic_participation_by_girls_and_women_sdgs_georgia)
[33] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)
[34] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

კანონით რეგულირდება, დაუშვებელია დისკრიმინაცია, კანონი გვიდგენს, რომ საჭიროა პატივისცემა, სიყვარული, ოჯახზე თანაბრად ზრუნვა და ა.შ, რაც წყვილს დაოჯახების გადაწყვეტილებისთანვე უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ კანონი მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთოებს უნდა არეგულირებდეს, თუმცა გარკვეულწილად მასში მორალურ ქმედებაზეც არის საუბარი, ამას კი მეუღლები შინაგანი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე უნდა გრძნობდნენ.

§ 2.2 მეუღლეთა პირადი უფლებები და მოვალეობები

როგორც წინა თავში განვიხილეთ,- ქორწინება დიდ პასუხმგებლობასთან არის დაკავშირებული და მეუღლეებს შორის მრავალმხრივ ურთიერთობებს წარმოშობს, როგორც პირად, ასევე ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებით, ეს ურთიერთობები კი თანაწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს.

პირად ურთიერთობებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეუღლეთა შორის. ქორწინებაც მეუღლეთა პირადი არჩევანი და კავშირია, რომელსაც საფუძლად უდევს ურთიერთპატივისცემის, სიყვარულისა და მტკიცე ოჯახის შექმნის სურვილი. პირადი ურთიერთობა ძალიან განსხვავდება ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობებისაგან. მეუღლეებს პირადი უფლებების გარკვეული ნაწილი დაქორწინებამდეც შეიძლება გააჩნდეთ, მაგალითად პროფესიული საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ.[35]

როდესაც წყვილი ქორწინდება, მშობელები ან ნათესავები ხშირად ცდილობენ ჩაერიონ მათ პირად ურთიერთობაში, როგორიცაა მაგალითად, შვილის ყოლის საკითხი. შვილის ყოლა მეუღლეების გადასაწყვეტია, მათი გადასაწყვეტია როდის ან რამდენი შვილი უნდა იყოლიონ, როგორ აღზარდონ ისინი, დაუშვებელია მსგავს საკითხებში მესამე პირის ჩარევა. „მეუღლეები ვალდებულნი არიან შვილები აღზარდონ

---

[35] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი“.)

ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად“,[36] ეს ყველაფერი კი ურთიერთშეთანხმებით უნდა განხორციელდეს, რადგან არცერთ მშობელს არ აქვს იმის უფლება, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილება. მსგავსი საკითხები როგორც წესი მარტივად გვარდება ერთად მცხოვრებ მეუღლეებს შორის, განსხვავებით ცალ-ცალკე მცხოვრებისგან. ასეთ შემთხვევაში სადავო საკითხის გადაწყვეტა მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს კომპეტენციას წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, ქორწინების შემდეგ ოჯახში გარკვეული სირთულეები იჩენს თავს. ჩვენი აზრით მეუღლეთა პირად ურთიერიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ყველა ის წამოჭრილი საკითხია, რაც უშუალოდ მეუღლეებს ეხება. დღევანდელ რეალობაში კი აღნიშნული ნათლად ჩანს, როდესაც მეუღლეები კამათის შემდეგ თავიანთი პრობლემების შესახებ მშობლებთან ან თუნდაც სხვა მესამე პირთან საუბრობენ დახმარებისა და რჩევის მიზნით, მსაგვსი რამ მიუღებელია რადგან ვფიქრობთ, რომ პირადი საკითხები მეუღლეებმა ცივილურად, ერთად უნდა მოაგვარონ, გაუფრთხილდნენ საკუთარ ურთიერთობას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სხვა პირის ჩარევა, რადგან შესაძლოა, მეუღლეთა შორის ურთიერთობის დაძაბვამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს.

არანაკლებ საყურადღებოა ის საკითხიც, რომ ქორწინების შემდეგ „საქმიანობისა და პროფესიის არჩევაში თითოეული მეუღლე თავისუფალია. ეს იმას ნიშნავს, რომ მართალია ეს საკითხი ურთიერთშეთანხმებითა და ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტონ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება თითოეულმა მათგანმა მაინც დამოუკიდებლად უნდა მიიღოს.

არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს მეუღლეთა ისეთ შეთანხმებას, რომელიც აღნიშნული საკითხის გდაწყვეტისას ითვალისწინებს რომელიმე მეუღლის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

თითოეული მეუღლის მიერ თავისი საქმიანობის ან პროფესიის განსაზღვრის დროს გადამწყვეტია ამა თუ იმ მეუღლის მიდრეკილება, ინტერესი, შემოქმედებითი

[36] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი“.)

შესაძლებლობები, ფიზიკური განვითარების მდგომარეობა, ბუნებრივი მონაცემები და სხვა.

თითოეულ მეუღლეს ასევე თავისუფლად შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეუღლეების საცხოვრებელ ადგილად შეიძლება მიჩნეული იქნეს როგორც ქმრის, ისე ცოლის საცხოვრებელი ადგილი. მოქმედი კანონი არ იცნობს ძველი ქართული საოჯახო სამართლით გათვალისწინებულ წესს-რომლის მიხედვით, ქმრის საცხოვრებელი ადგილი ითვლება სავალდებულოდ ცოლისთვის ".[37]

§ 2.3. მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი, ქონების გაყოფა

„საოჯახო ურთიერთობათა განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ მატერიალურ ბაზაზე, რაც საფუძვლად ედება ოჯახის შექმნას. მეუღლეებს თავიანთ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნათა დასკამაყოფილებლად სჭირდებათ განსაზღვრული ქონება",[38] რომლის შეძენა ხდება საერთო ბიუჯეტიდან. ხოლო აღნიშნული ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები კი სამართლებრივი რეგულირების სფეროს მიეკუთვნება, რომელიც წარმოადგენს უკვე საქორწინო სამართლებრივ ურთიერთობებს. „ყოველი ოჯახის წევრს აქვს თავისი მოვალეობები და მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე მუშაობს და გამოიმუშავებს ფულად სახსრებს ნებისმიერი ქონება, რომელიც შეძენილი იქნება ქორწინების პერიოდში, ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის"[39]

„საქორწინო-სმართლებრივი ურთიერთობები საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობათა ნაირსახეობაა, რომლის წარმოშობად მარტო ქალისა და მამაკაცის სურვილი დაქორწინების შესახებ არ კმარა. საჭიროა აგრეთვე ქორწინების რეგისტრაცია

[37] რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი

[38] რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი

[39] ნინო გვარაკიძე , (2019). მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე არსებული თანასაკუთრების რეჟიმი. თბილისი.გვ.10, გვ. 11

მოხდეს სახელმწიფო ორგანოში“. [40] მეუღლეთა ქონებრივი უფლება მოვალეობა კანომდებლობით რეგულირდება და თანაწორობის პრონციპიდან გამომდინარეობს. განისაზღვრება თანაზიარი ქონება, ანუ თანასაკუთრება. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზუსტად განსაზღვრავს მეუღლეთა თანასაკუთრებას, რომლის მიხედვითაც 1158 მუხლი განმარტავს:

1. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.“[41]

მეუღლეებს გააჩნიათ თანაზიარი ქონების, როგორც მფლობელობის და სარგებლობის, ისე განკარგვის თანაბარი უფლებები და დაუშვებელია რომელიმე მეუღლისათვის უფლებამოსილების რაიმე ფორმით შეზღუდვა [42].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზუსტად არ განსაზღვრავს და არ გამოყოფს ქონების იმ სახეებს, რომელიც ჩაითვლება საზიარო ქონებად, თუმცა მეუღლეებს შეუძლიათ აღნიშნული საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ.

იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საქორწინო ხელშეკრულება, მეუღლეების ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება ჩაითვლება თანაზიარად.

თანაზიარად ჩაითვლება ასევე ქონება, როცა ერთ-ერთი მეუღლე ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა მიზეზის გამო არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსხვავდება წილობრივი საკუთრებისაგან. წილობრივი საკუთრება შესაძლებელია გააჩნდეს რამდენიმე პირს, ან თუნდაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს.

[40] რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი

[41] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)

[42] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი გვ. 155)

წილობრივი საკუთრების შემთხვევაში არცერთ მეუღლეს არ აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მეუღლის წილობრივი საკუთრებიდან რაიმე წილის გამოყოფა და მისი დამოუკიდებლად განკარგვა.

„მეუღლეებს თანაზიარი საკუთრება ეკუთვნით თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ თანაზიარ საკუთრებასთან დაკავშირებით მათ შორის უთანხმოება ჩნდება, დავებს, საერთო საზიარო საკუთრების გაყოფის თაობაზე მეუღლეები სასამართლოს გზით აგვარებენ. საერთო ქონების გაყოფის წესი განქორწინების დროს დგება. ქორწინების შეწყვეტა კი როგორც წესი იწვევს არამარტო პირად, არაქონებრივ ურთიერთობების, არამედ ქონებრივი უფლება - მოვალეობის შეწყვეტასაც, რაც ბუნებრივია გამოიწვევს ქონების გაყოფას.“[43]

ქონების გაყოფის შემთხვევაში კი ხდება მხოლოდ იმ ქონების თანაბრად გაყოფა, რაც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. შესაძლებელია ქონების გაყოფა მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდშიც, როდესაც ქონების გაყოფა ერთ-ერთი მეუღლისთვის აუცილებელ საკითხს წარმოადგენს. ქონების გაყოფის დროს მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იქნეს ყველა ის დეტალი, რაც მეუღლეებს შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული.

მეუღლეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ნოტარიუსის მეშვეობით განსაზღვრონ ქონების გაყოფის საკითხი, თუმცა უთანხმოების შემთხვევში სასამართლოს გზით. თანასაკუთრების გაყოფის დროს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს იმ საზიარო ქონების საკითს, რომელიც განსაკუთრებული დანიშნულების ფაქტიდან გამომდინარეობს. 1165-ე მუხლის მიხედვით „პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა.შ.), თუნდაც ქორწინების პერიოდში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ეს ნივთები თავისი საქმიანობისათვის სჭირდება“.

[43] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი“)

§ 2.4. მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1161-მუხლის თანახმად- „თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე;

ბ) ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით.“ [44]

საქართველოს სამოქალო კოდექსი ამ შემთხვევაშიც ზუსტად არ განსაზღვრავს და არ გამოყოფს ქონების იმ სახეებს, რომელიც ჩაითვლება ინდივიდუალურ ქონებად , თუმცა მეუღლეებს შეუძლიათ აღნიშნული საკითხიც საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ საჭიროების მიხედვით.

არ შეიძლება ქორწინების ფაქტი საფუძვლად დაედოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში იმ ქონების ჩართვას, რომელიც თითოეულ მეუღლეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე. ასეთი ქონება წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას და მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მეუღლეებისგან დამოუკიდებლად ხდება.

ქორწინება სულაც არ მიშნავს იმას, რომ ქორწინებამდელი ქონება დაქორწინების შემდგე თანაზიარი ხდება. [45] „მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად. თუ ქონება შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრების საფუძველზე, მაგრამ განკუთვნილია ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისთვის, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად, მაგალითად ტანსაცმელი, სამკაული, კოსმეტიკა და ა. შ.“. [46]

შესაძლოა ინდივიდუალური საკუთრება გადაიქცეს თანაზიარად, თუ ქორწინების პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქონების ღირებულება, რაც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდა. მაგ: შენობის აშენების მერე, მისი

---

[44] (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი)

[45] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი გვ. 159)

[46] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი გვ. 160)

კაპიტალური რემონტი, ან თუ ერთი მეუღლის მასალის გადამუშავებაში მონაწილეობას იღებს მეორეც და იზრდება ამით მისი ღირებულება.

ეს ზოგადი წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო კონტრაქტი სხვა რამეს ითვალისწინებს. ასევე მნიშვნელოვანია ის მომენტი, თუ ერთი მეუღლე თავის ინდივიდუალური საკუთრების ქონებას სარგებლობაში გადასცემს მეორე მეუღლეს ან ოჯახის რომელიმე სხვა წვრს, ამით მისი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა არ იცვლება და კვლავ ინდივიდუალური საკუთრების ობიექტად ჩაითვლება“.[47]

[47] (რომან შენგელია, ე. შ. (2011). საოჯახო სამართალი. თბილისი: „მერიდიანი გვ. 161-162)

თავი 3. მეუღლეთა სახელშეკრულებო ურთიერთობები

§ 3.1 საქორწინო ხელშეკრულების ცნება და შინაარსი

საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი 1997 წელს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ წარმოიშვა, თუმცა იგი სათავეს რამდენიმე საუკუნით ადრე იღებს. პირველი წერილობითი დოკუმენტი გვხვდება ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში. იმ დროს შეთანხმებას ქალი და მამაკაცი აფორმებდა, რომლითაც ადგენდნენ როგორც ქონებრივ ურთიერთობას, ასევე ერთობლივად შეძენილი ქონების მემკვიდრეობის საკითხსაც. ასეთი რამ საძრახისად ან სამარცხვინოდ არ ითვლებოდა და მომავლის "დაზღვევა" საკმაოდ გავრცელებული იყო.

მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის აღდგენა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო.

ინგლისში, XIX საუკუნის ბოლომდე "საერთო სამართლის" (Common Law) შესაბამისად, მეუღლეთა ქონება ქმრის საკუთრებად ითვლებოდა და ის ქონებაც კი, რომელსაც ცოლი ქორწინებამდე ფლობდა, ქმრის საკუთრებაში გადადიოდა".[48]

რადგანაც, საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის სიახლეს, მას ჯერ კიდევ არ აქვს მყარი ნიადაგი რეალურ ცხოვრებაში,[49] მაგრამ მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულების საკითხი დღესდღეობით მაინც დიდი აქტუალობით გამოირჩევა, როგორც კრიტიკის, ისე დადებითი შეფასების კუთხით, რადგან საქორწინო ხელშეკრულებას ზოგი ტრადიციული ქორწინების დაკნინებად მიიჩნევს, შეურაცხყოფად აღიქვავს, ზოგიც კიდევ საქორწინო ხელშეკრულების დადებას მეუღლეებს შორის ურთიერთობის უნდობლობად და სიყვარულში დაურწმუნებლობად თვლიან, რაც განპიროვნებულია გარკვეული შიშით, საზოგადოების დაბალი ცნობიერებით, რაც აღნიშნული

---

[48] ნინო გვარაკიძე , (2019). მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე არსებული თანასაკუთრების რეჟიმი. თბილისი.გვ.33, გვ.34.

[49] (ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 58)

ინსტიტუტის ერთ-ერთი შემაფერხებელი პირობაა. თუმცა არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომ საქორწინო ხელშეკრულებით წინასწარ არის განსაზღვრული მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები.

ამდენად, საქორწინო ხელშეკრულება წარმოადგენს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის ახალ სახეს, რომლის პირობები, ფორმა და შინაარსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172- მუხლით არის შემდეგნაირად განმარტებული:

„საქორწინო ხელშეკრულებით განისაზღვრება მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას“.[50] საქორწინო ხელშეკრულება, გარდა იმისა, რომ იგი არის მექორწინეთა შეთანხმება, ქონების რეგისტრაციის თაობაზე, ის აგრეთვე მეუღლეთა შორის ქორწინების განმავლობაში და განქორწინების შემთხვევისათვის საქორწინო უფლებებისა და მოვალეობების განაწილების თაობაზე მიღებული კონსესუსია.[51]

საქორწინო ხელშეკრულება წყვილს შორის შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ქორწინების რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციიდან.

საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის და მხოლოდ მეუღლეების სურვილზეა დამოკიდებული და წარმოადგენს მხოლოდ ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით მეუღლეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შესაძლებლობას. [52]

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ის საკითხი თუ როგორ დაარეგულირებენ მეუღლეები ერთმანეთში პირად ურთიერთობებს: თავდავიწყებამდე უყვარდეთ ერთმანეთი, არ უღალატონ ერთმანეთს, ბავშვისთვის სახელის დარქმევა და ა. შ [53]

---

[50] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

[51] (რ. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2011, გვ. 174)

[52] რ. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2011

[53] რ. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2011,გვ. 175

„ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვაროვანი სტატუსები განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე“ [54].

§ 3.2 საქორწინო ხელშეკრულებისა და კანონის მოთხოვნათა თანაფარდობა

„თავდაპირველად, ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იდებოდა. დაახლოებით მეთექვსმეტე საუკუნიდან უკვე საქორწინო ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება დამკვიდრდა“,[55] შესამაბისად კანონიც განსაზღვრავს საქორწინო ხელშეკრულების დადების ფორმას: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლის მიხედვით „საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით“ [56]

სანოტრო წესით დადასტურებით, ხდება ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება და არა მისი შინაარსის.

როგორც აღვნიშნეთ საქორწინო ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო ხასიათის და იგი მხოლოდ მეუღლეების სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა იმ შემთხვევაში თუ დაიდება საქორწინო ხელშეკრულება იგი შეიძენს მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობის განაწილების სამართლებრივი საფუძველს და აუცილებელი იქნება პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნას და გააჩნდეს შესაბამისი რეკვიზიტები. [57]

საქორწინო ხელშეკრულება დაკავშირებულია ქორწინებასთან და მხოლოდ მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობას არეგულირებს, ამიტომ თუ საქორწინო ხლეშეკრულება მომავალ მეუღლეებს შორის იდება, ძალაში არ შევა მანამ, სანამ არ

---

[54] ჭანტურია, ლ. (2000). საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები. თბილისი: სამართალი.

[55] (ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 58)

[56] [56] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

[57] რ. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2011,გვ. 174

მოხდება ქორწინების რეგისტრაცია. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მომავალ მეუღლეებს შორის დადებულია საქორწინო ხელშეკრულება, თუმცა ქორწინების რეგისტრაცია აღარ შედგა, საქორწინო ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს.

აქედან გამომდინარეობს, ის რომ ქორწინების რეგისტაციის გარეშე საქორწინო ხელშეკრულება არ წარმოშობს არავითარ უფლება- მოვალეობებს. [58]

რაც შეეხება შინაარს, ბუნებრივია საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, სადაც გაწერილია თითოეული დეტალი. შინაარსი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ნაწილისაგან, რომელიც განსაზღვრავს საქორწინო ხელშეკრულებისა და საოჯახო სამართლის თანაფარდობის საკითხს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქორწინო ხელშეკრულება წარმოშობს მეუღლეებს შორის უფრო მეტ ვალდებულებას, რათა შეინარჩუნონ ქორწინება და განამტკიცონ საოჯახო ურთიერთობები.[59]

მხარეებს ასევე შეუძლიათ ხელშეკრულებით განსაზღვრონ განქორწინების შემთხვევაში თანაზიარი ქონების საკითხი, ან ყველა ის საკითხი, რაც მნიშვნელოვნათ მიაჩნიათ და უნდა დარეგულირდეს საქორწინო ხელშეკრულებით.

ამდენად, „საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებენ ერთმანეთში ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. სამოქალაქო კოდექსი კი ხელშეკრულების მონაწილეებს სთავაზობს უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესაძლო მიმართულებებს.“ [60] ასევე მნიშვნელოვანია საქორწინო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნეს ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების წესი.[61]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქორწინო ხელშეკრულებაც სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ერთ-ერთი ნაირსახეობაა და

---

[58] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ.130

[59] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ.131.

[60] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ.60

[61] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ. 131, გვ. 132

მისი ნამდვილობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ მისი მონაწილეები იყვნენ სრული ქმედუნარიანები, ანუ 18 წელს მიღწეულნი.[62]

§ 3.3 საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა სასამართლოში

მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლის საკითხი, ვინაიდან საქორწინო ხელშეკრულება ნებელობითი აქტია, მისი დადებაც და შეცვლაც მეუღლეების გადასაწყვეტია. სწორედ ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლი აძლევს მეუღლეებს იმის შესაძლებლობას, რომ საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა მოხდეს სასამართლოს გზით და განმარტავს, რომ „დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს“.[63] აქედან გამომდინეობს ის, რომ მეუღლეებმა საქორწინო ხელშეკრულება უნდა დადონ იმგვარად, რომ არცერთი მეუღლე არ აღმოჩნდეს მძიმე მდგომარეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი შეწყვეტა ან გაბათილება.

„დაინტერესებული მეუღლის თხოვნის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ის პირობები, რომელთა შესრულებაც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს მას. ამისთვის სასამართლოს უნდა გააჩნდეს პატივსადები მიზეზი, ეს კი შეიძლება იყოს: ბავშვის დაბადებამდე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორესათვის ავტომანქანის ყიდვა თავისი მშობლების ხარჯზე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, მისი ინდივიდუალური საკუთრების ყველა მნიშვნელოვანი ღირებულების ნივთის გადასვლა მეუღლის თანასაკუთრებაში და სხვ. სასამართლოს მიერ საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა მიზნად

[62] რ. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, 2011,გვ.179, გვ. 180.

[63] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ისახვს ამ მხრივ დაინტერესებული მეუღლის ქონებრივი ინტერესების დაცვას საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში“.[64]

§ 3.4 საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

როგორც წინა თავში ითქვა, საქორწინო ხელშეკრულება არის ნებელებითი აქტი და შესაძლებელია მისი, როგორც შეცვლა, ასევე შეწყვეტა. აღნიშნული საკითხიც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ „საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით“. [65]

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა მეუღლეთა სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა მისი შეწყვეტა შესაძლოა მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მეუღლის მატერიალური ან ფიზიკური მდგომარეობის შეცვლით, მაგრამ ეს არ გამოიწვევს ცალმხრივად საქორწინო ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტას, ასეთ შემთხვევაშიც კი აუცილებელია მეუღლეებს შორის მოხდეს ურთიერთშეთანხმება, რადგან ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვევს მეორე მეუღლის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას და საჭირო გახდება არახელსაყრ პირობებში მყოფი მეუღლის ინტერესების დაცვა. [66]

საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი შესაძლებელია იყოს განქორწინება. ხელშეკრულებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს განქორწინების შემთხვევაში თანაზიარი საკუთრების განაწილების საკითხიც, რომლის შესრულების შემდეგ მოხდებოდა ხელშეკრულების შეწყვეტა. თუ საქორწინო

---

[64] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ.142.გვ. 143

[65] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

[66] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ.140, გვ. 141.

ხელშეკრულებით მეუღლეთა მიერ სხვა რამ იყო გათვალისწინებული, მაგალითად: მკურნალობის ხარჯები, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების ეს ნაწილი ძალაში რჩება.[67]

„საქორწინო ვადის გასვლა, რომელიც დადებული იყო განსაზღრული ვადით, იწვევს საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტას. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მათ შეუძლიათ დადონ უკვე ახალი საქორწინო ხელშეკრულება. შესაძლებელია ასევე საქორწინო ხელშეკრულების გაბათილებაც. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეებმა საქორწინო ხელშეკრულება დადეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი აკრძალვების გაუთვალისწინებლად “.[68]

[67] აქვე გვ. 141.

[68] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 62.

თავი. 4 მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა

§ 4.1. სარჩოს მიღების სამართლებრივი საფუძვლები და მიღებაზე უფლებამოსილი პირი

რეგისტრირებული ან ფაქტობრივი ქორწინება (ჯვრისწერა) წარმოშობს მეუღლეთა შორის ვალდებულებას, რომ იზრუნონ ერთმანეთზე, როგორც ზნეობრივად და მორალურად ასევე მატერიალურად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ვალდებულება“ თითქოს არაკორექტულად არის მოხსენიებული, რადგან თუკი მომავალი მეუღლეები გადაწყვეტენ დაქორწინებას, ისინი ქორწინდებიან სიყვარულით, საკუთარი სურვილით და სწორედ ამიტომ ერთმანეთზე ზრუნვა უნდა შეეძლოთ უანგაროდ, ურთიერთსიყვარულით და არა ვალდებულებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის მიხედვით, „მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს„[69] მეუღლეებს ერთმანეთის ზრუნვის იურიდიული ვალდებულება წარმოეშობათ ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან და არა ფაქტობრივი თანაცხოვრების დროს, ხოლო მეუღლეთა ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა, ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრება, განქორწინების ოფიციალურ გაფორმებამდე არ წყვეტს მეუღლეთა ვალდებულებას მატერიალურად ურთიერთდახმარების შესახებ.

როგორც წესი მეუღლეები განქორწინების შემდეგ ყოველგვარი შეხსენების გარეშე, საკუთარი ნებით ასრულებენ ვალდებულებას, თუმცა ასევე არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა ისინი უარს აცხადებენ ვალდებულების შესრულებაზე, ან ვერ თანხმდებიან სარჩოს ოდენობასა და სარჩოს სახეობაზე. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182- ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დახმარებაზე უარის მიღების, ან მეუღლეთა შეთანხმების არარსებობის დროს, მატერიალური დახმარების მქონე მეუღლეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩოს მიღება. თუმცა, კანონმდებლობა ასევე გვიკონკრეტებს და განსაზღვრავს იმ საკითხს და პირობებს, თუ ვის შეუძლია მოითხოვოს სარჩოს მიღება.

[69] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182- მუხლის მიხედვით სარჩოს მოთხოვნის უფლება აქვს შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს და ასევე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.[70] „ერთ-ერთი მეუღლის შრომისუნარიანობა და მატერიალური დახმარების საჭიროება ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. თუ მეუღლე შრომისუუნაროა, მაგრამ მატერიალურად არ უჭირს ან პირიქით, შრომისუნარიანი, მაგრამ მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, იგი ვერ ისარგებლებს მეორე მეუღლისგან სარჩოს მოთხოვნის უფლებით“. [71] „საოჯახო კანონმდებლობა არ იძლევა „შრომისუუნარობისა“ და „მატერიალური დახმარების საჭიროების“ ცნებას, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შრომისუუნაროდ ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს (მამაკაცები 65 წლიდან, ქალები კი, 60 წლიდან) ან ინვალიდია, ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია იშრომოს და თავად ირჩინოს თავი. რაც შეეხება, მატერიალური დახმარების საჭიროებას, აქ იგულისხმება მეუღლის იმ სახსრების უქონლობა, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის“.[72] აქედან გამომდინარე იურიდიულ ფაქტად მატერიალური მდგომარეობის საჭიროება ჩაითვლება მაშინ, თუ იგი დაკავშირებულია შრომის უნარის დაკარგვასთან. იმ შემთხვევაშიც კი თუ მეუღლეს არ მიუღეწევია საპენსიო ასაკს და ამავე დროს არის შრომისუნარიანი, თუმცა იწუნებს რაიმე სამუშოს შეთავაზებას, არ აქვს უფლება ასეთ მეუღლეს მოითხოვოს მეორე მეუღლისგან სარჩო.

ისეთ შემთხვევაში თუ მეუღლე შრომისუუნაროა, თუმცა აქვს საკრედიტო ფულადი დანაზოგი, ან ინდივიდუალურ საკუთებაში აქვს ქონება: აგარაკი ან სხვა საგნები, რომელიც არის შემოსავლის წყარო, ერთ-ერთ მეუღლეს არ აქვს უფლება მოსთხოვოს მეორე მეუღლეს სარჩო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თუ მეუღლეს დანიშნული აქვს პენსია ან სხვა ნათესავისგან აქვს დახმარება, თუმცა არ არის საკმარისი მოვლისთვის და კვებისთვის, ამ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მეუღლე დაკარგავს სარჩოს მოთხოვნის უფლებას.

---

[70] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

[71] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ. 145.

[72] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 64

იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში აქვს უფლება მოითხოვოს სარჩო მეორე მეუღლისგან. ,,კატეგორიულად არ არის განსაზღვრული რომ, ცოლმა ორსულობის პერიოდში, ან ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში ქმრისაგან მოითხოვოს სარჩო, მხოლოდ მატერიალური სახით, თუმცა ზოგადი პრაქტიკიდან განმომდინარე ორსულ ქალს ჩვეულებრივზე მეტი სახსრები სჭირდება ჯანმრთელობისთვის და მოვლისთვის, ხოლო ახალდაბადებული ბავშვის მოვლა და რჩენა მხოლოდ დედამ შეიძლება ვერ შეძლოს, ამიტომ ქმარი ვალდებულია ასეთ შემთხვევაში ცოლის სასარგებლოდ გადაიხადოს ალიმენტი. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს ქმრის მატერიალური მდგომარეობაც, როგორც ცოლის ორსულობის პერიოდის განმავლობაში და ასევე ბავშვის დაბადებიდან სამი წლის შესრულემადე. [73]

აღნიშნულის შემდეგ, ცოლმა საერთო წესის საფუძველზე ხელახლა უნდა დააყენოს ქმრისგან სარჩოს მიღების საკითხე.[74]

§ 4.2 სარჩოს ოდენობის განსაზღვრის წესი

იმ შემთხვევაში თუ მეუღლები ურთიერთრჩენის ვალდებულების საკითხზე ვერ შეთანხმდებიან და ერთ-ერთ მეუღლეს მოუწია სასამართლოს გზით მოგვარება, მაშინ „შრომისუუნარო და მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის სარჩელის განხილვის დროს სასამართლომ უნდა გაარკვიოს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობა და თუ მიიჩნევს, რომ მისგან შესაძლებელია ალიმენტის გადახდევინება, ამ შემთხვევაში დააკმაყოფილებს მოთხოვნას და ყოველთვიურად დააკისრებს თანხის გადახდას.[75]

---

[73] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ. 146,

[74] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ. 146, გვ. 147

[75] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 64

თანხის ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა ოჯახურ და მატერიალურ მდომარეობაზე. რა თქმა უნდა ყველა განქორწინებული ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ერთი და იგივე არ არის და ბუნებრივია სასამართლო „შაბლონურად“ ვერ იხელმძღვანელებს, ამიტომ ყოველი საქმე მოითხოვს კონკრეტულ მიდგომას, აქედან გამომდინარე სრულიად შესაძლებელია, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი, „ამიტომ სასამართლომ დეტალურად უნდა გამოიკვლიოს ქონებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, კერძოდ: რა ოდენობისაა მოპასუხე მეუღლის ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი; გააჩნია თუ არა მას რაიმე ვალდებულება სხვა პირის მიმართ; როგორია მისი ყოფითი პირობები; როგორია მოსარჩელე მეუღლის შრომისუნარიანობის ხარისხი; შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად მიხედოს თავს, ჰყავს თუ არა სრულწლოვანი შვილები, რომელიც ვალდებულნი არიან მატერიალური დახმარება გაუწიონ მას; შემოსავლის რა რეალური წყაროები გააჩნია და სხვ.“[76] ასეთ შემთხვევაში თუ ალიმენტის გადახდევინება გამოიწვევს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის საარსებო მინიმუმამდე გაუარესებას, მაშინ სასამართლო ასეთ სარჩელს არ დააკმაყოფილებს.“[77]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1185-ე მუხლის მე-2 ნაწილი საზღვრავს ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას თითოეული მეუღლის უფლებას სასარჩელო მოთხოვნით სარჩოს ოდენობის შეცვლის შესახებ. ეს ნიშნავს იმას, რომ დროთა განმავლობაში იცვლება მეუღლეთა ოჯახური მატერიალური მდგომარეობა. იმ შემთხვევაში თუ შეიცვალა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, თითოეულ მათგანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს ადრე დადგენილი ალიმენტის შეცვლის თაობაზე. „მაგალითად კმაყოფაზე მყოფი პირის გარდაცვალება ალიმენტის გადამხდელისათვის შეიძლება მისი ოდენობის გაზრდის საფუძველი გახდეს, ხოლო ალიმენტის მიმღებისთვის-შემცირების. ალიმენტის გადამხდელის შრომისუუნარობის დაკარგვამ კი შეიძლება ალიმენტის ოდენობის შემცირება გამოიწვიოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ

[76] ჭანტურია, ლ. (2000). *საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი კომენტრები.* თბილისი: სამართალი, გვ.150
[77] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ. 64

მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა არ შეიძლება იყოს მყარი, ამიტომ სრულიად შესაძლებლია ალიმენეტის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების ან ალიმენტის ოდენობის შეცვლის საკითხი სასამართლოში პერიოდულად იქნეს განხილული. [78]

§ 4.3 სასამართლოს მიერ რჩენის მოვალეობისაგან გათავისუფლება/ განსაზღვრული ვადით შეზღუდვა

იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო ადგენს რჩენის მოვალეობის განსაზღვრის წესებს, ასევე აქვს უფლება მეუღლე გააათავისუფლოს რჩენის ვალდებულების შესრულებისგან ან განსაზღვრული დროით შეუზღუდოს იგი, მაგრამ ეს ყველაფერი რა თქმა უნდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. [79] ეს შეიძლება იყოს: ქორწინებაში ხანმოკლე ვადით ყოფნა.

კანომდებლობა ზუსტად არ განსაზღვრავს თუ რამდენი ხანი შეიძლება იგულისხმებოდეს ქორწინების ხანმოკლე ვადაში, თუმცა ამას წყვეტს სასამართლო საქმის შინაარსიდან და ინდივიდუალურობიდან გამომდინარე.

მეორე საკითხი, ეს არის სარჩოს მომთხოვნი მეუღლის მიერ უღირსი საქციელის ჩადენა სარჩოს გადამხდელის მიმართ. „ალიმენტის მომთხოვნი მეუღლის უღირსი საქციელი წარმოადგენს ალიმენტზე უარის თქმის საფუძველს, იმისგან დამოუკიდებლად, ასეთ საქცილეს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე, ქორწინების განმავლობაში თუ განქორწინების შემდეგ. თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ მეუღლის უღირს საქციელს ადგილი ჰქონდა ქორწინებამდე და მეორე მეუღლემ იცოდა ამის შესახებ, ის არ არის უფლებამოსილი ამ გარემოებაზე დაყრდნობით სასამართლოს წინაშე დააყენოს ალიმენტისაგან გათავისუფლების საკითხი.

---

[78] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.გვ.194,გვ.195

[79] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.გვ.193

კანონი მეუღლეთა უღირსი საქციელის ცნებას არ განმარტავს. აღნიშნულ საკითხსაც საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე წყვეტს სასამართლო. უდაოა, რომ მეუღლის უღირს საქციელად ზემოთ დასახელებული მიზეზის გარდა უნდა ჩაითვალოს მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, მძიმე სამართალდარღვევა და სხვა.

უღირს საქციელად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ქმედება, რომელიც მართალია არ არის აკრძალული კანონით, მაგრამ ეწინააღმდეგება ზოგადად დადგენილი მორალისა და ზნეობის ნორმებს.“[80]

შემდეგი მიზეზი თუ რა შემთხვევაში შეიძლება სარჩოს გადამხდელი მეუღლის სასამართლოს მიერ რჩენის მოვალეობისაგან გათავისუფლება ან განსაზღვრული ვადით შეზღუდვა, არის სარჩოს მომთხოვნი მეუღლის ნარკოტიკული ნივთიერების ან ალკოჰოლური სასმელის გამოყენება.

სასამართლოს ასევე აქვს უფლება სარჩოს გადამხდელი რჩენის მოვალეობისაგან მთლიანად გაათავისუფლოს ან განსაზღვრული ვადით შეუზღუდოს თუ მოსარჩელე ჩაიდენს განზრახ დანაშაულს.

ის საკითხი, რომ სარჩოს გადამხდელი მეუღლე მთლიანად გათავისუფლდეს ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან ან შეეზღუდოს მას ეს მოვალეობა განზაღვრული ვადით, სასამართლომ აღნიშნული უნდა გადაწყვიტოს ყველა იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია მოსარჩელის ქცევასა და მხარეთა მატერიალურ მდგომარეობასთან. „გადამწყვეტი მნიშვნელობისა კი მაინც სარჩოს მომთხოვნი მეუღლის უღირსი საქციელი, ბრალეული და სუბიექტური მოქმედებაა. “ [81]

---

[80] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ.66

[81] რომან შენგელია, ე. შ. (2011). *საოჯახო სამართალი.* თბილისი: „მერიდიანი“.გვ 193

§ 4.4 სარჩოს მიღების უფლების მოსპობა

სარჩოს მოთხოვნის უფლების არსებობა მეუღლისგან არ არის განსაზღვრული დროის გარკვეული მონაკვეთით, ეს შეიძლება მოხდეს სანამ სარჩოს მოთხოვნის საჭიროება და საფუძველი არსებობს.

საქართველოს სამოქალქო კოდექსის მიხედვით შესაძლოა სარჩოს მომთხოვნ მეუღლეს მოესპოს სარჩოს მიღების უფლება იმ შემთხვევაში თუ აღარ არსებობს სარჩოს მომთხოვნი მეუღლის მხრიდან სარჩოს მოთხოვნის საფუძველი, ეს ნიშნავს იმას, რომ მეუღლეს სარჩოს მიღების უფლება მოესპობა იმ შემთხვევაში თუ: „შრომისუნარი აღუდგა მეუღლეს, რომელიც მეორე მეუღლისგან იღებდა სარჩოს, აღარ არსებობს მატერიალური დახმარების საჭიროება იმ მეუღლის მიმართ, რომელიც იღებდა სარჩოს, ადრე შეწყდა სარჩოს მიმღები ცოლის ორსულობა, დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში გარდაიცვალა ბავშვი, რომლის დედაც ქმრისგან იღებდა სარჩოს, სარჩოს მიმღები ყოფილი მეუღლე ხელახლა დაქორწინდა. აღნიშნულის გარდა, საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს, ალიმენტის გადამხდელი პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესების შემთხვევაში, რის გამოც მას არ აქვს საშუალება გადაიხადოს ალიმენტი. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას გამოიწვევს მისი მონაწილე ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება. “[82]

იმ შემთხვევაში თუ არსებობს სარჩოს მიღების უფლების საფუძველი, მეორე მეუღლის სარჩელის საფუძველზე გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ალიმენტის გადახდა ხდებოდა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე გაგრძელდებოდა, აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ საალიმენტო ვალდებულება წყდება ავტომატურად.

[82] ბახტაძე, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, 2018, გვ.

დასკვნა

ამდენად, სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხები საკმაოდ აქტუალურია თანმიმდევრულად განვიხილეთ მეუღლეთა უფლება-მოვალეობები. შედარებითი კვლევის მეთოდების გამოყენებით შევძელით ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა საზღვარგარეთის ქვეყნისა და საქართველოს საოჯახო სამართლის ნორმები, სადაც გამოიკვეთა ის ცვლილებები, რაც დროთა განმავლობაში თვალნათლივ აისახა მოქმედ კანონმდებლობაში.

არანაკლები ყურადღება დავუთმეთ მეუღლეთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპს, რაც უშუალო კავშირშია მეუღლეთა ქონების სამართლებრივ რეჟიმთან, მათ შორის საუბარია საერთო და ინდივიდუალური საკუთრების თავისებურებებზე.

მართალია, სამართლებრივი ნორმები დროის ცვლილებასთან ერთად მუდმივად საჭიროებს გადამოწმებასა და გაახლებას, ახალი სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა დამახასიათებელი ნიშანთვისებაა სამოქალაქო სამართლისთვის.

სამაგისტრო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქორწინების რეგისტრაციის სამართლებრივ რეგულაციებს, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების წესსა და მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

განსაკუთრებით ყურადსაღებია მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულების თავისებურებები, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი კრიტიკულად, ხოლო ნაწილი კი დადებითად აფასებს. ჩვენი მოსაზრებით, თუკი ქორწინება დასაქორწინებლ პირთა სიყვარულზე და ნდობაზე იქნება დაფუძნებული, საქორწინო კონტრაქტის არსებობა, მხოლოდ სრულყოფილსა და საიმედოს გახდის წყვილთა თანაცხოვრებას.

მნიშვნელოვანია მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულების საკითხიც, რომელიც ასევე შესაძლოა ჩაიწეროს საქორწინო ხელშეკრულებაში. მართალია კანომდებლობით განსაზღვრულია სარჩოს მიღების სამართლებრივი საფუძვლები და

მის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულები, თუმცა ნაშრომში დაკონკრეტებულია თუ როგორ და ვის მიერ განისაზღვრება სარჩოს რაოდენობა, რა შემთხვევში შეიძლება გათავისუფლდეს მეუღლე სარჩოს გადახდისაგან და ა.შ.

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხილული საკითხები მეტად სენსიტიურია და ყოველი ოჯახის სამართლებრივი ურთიერთოება ინდივიდულუარია, რომელიც გარკვეულწილად ახალ პრაქტიკას ქმნის ჩვენს ცხოვრებაში, ეს კი საშუალებას მისცემს კანონმდებელს დახვეწოს არსებული ხარვეზები და გაუადვილოს მეუღლეებს პრობლემური საკითხების მოგვარება და მათი სამართლებრივი რეგულაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000.
4. რ. შენგელია, ე. შენგელია. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2017
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 1 მარტის მდგომარეობით)გამომცემლობა სიესტა 2010 თბილისი.
6. ვ. მეტრეველი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია , ,გამომცემლობა ,,მერიდიანი'' 2003
7. ლ. ჭიღლაშვილი, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დისერტაცია, თბ. 2016.
8. ლ. ჭიღლაშვილი, ქორწინების ფორმები. სამეცნიერო ჟურნალი, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი N2, გვ. 98-104, თბ. 2012
9. მალინა ბახტაძე- მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი
10. ივანე ჯავახიშვილი - ენციკლოპედიური ლექსიკონი
11. ქალთა უფლებები და სახელმწიფო დაცვის მექნიზმები, თბ. 2019
12. (https://www.civiceducation.ge/ka/lessons/4-38)- სამოქალაქო განათლება ყველასთვის
13. (https://idfi.ge/ge/gender_equality_and_improving_economic_participation_by_girls_and_women_sdgs_georgia)-IDFI-ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსიტუტი
14. ნინო გვარაკიძე - მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე არსებული თანასაკუთრების რეჟიმი, თბ.2019

15. ე.კუსიანი საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf ავტორი: სტატია 2012 საქორწინო კონტრაქტის მიზანი 5-6-8 გვ. 1

16. თ. ჩიხრაძე საქორწინო ხელშეკრულება, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი 2 https://openscience.ge/bitstream/1/912/1/samagistro%20chikhradze.pdf
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი თამუნა ჩიხრაძე საქორწინო ხელშეკრულება, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სამეცნიერო ხელმძღვანელი გიორგი რუსიაშვილი თბილისი 2019 წელი.

17. მ. ბახტაძე. მეუღლეთა უფლება მოვალეობანი
https://openscience.ge/bitstream/1/40/1/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20%281%29.pdf გვ52.თბილისი 2018

18. ნ. კვანტალიანი. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/02/Artikel-121.pdf 121-127 მუხლების შესავალი

სასამართლო პრაქტიკა

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2017.
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-samoqalaqo.pdf

20. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. საოჯახო-მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა; მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფა. [საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2017, №6 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2017w-samoqalaqo-krebuli6.pdf]

21. მეუღლეთა თანასაკუთრება. თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის ხანდაზმულობის ვადა. [საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე სანივთო და საოჯახო სამართალი, 2014, №5 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-samoqalaqo-krebuli5.pdf]
22. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნა [საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, ვალდებულებითი და მემკვიდრეობითი სამართალი, 2014, №6

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-samoqalaqo-krebuli6.pdf]
23. მეუღლეთა თანასაკუთრება. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი [საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, საოჯახო და და მემკვიდრეობის სამართალი, 2011, №11 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201111.pdf]

    მეუღლეთა თანასაკუთრება. არასრულწლოვანი შვილების ინტერესის გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი [საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, საოჯახო და და მემკვიდრეობის სამართალი, 2010,
24. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr20107.pdf]
25. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n3.pdf
26. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-samoqalaqo-krebuli7.pdf
27. https://openscience.ge/bitstream/1/897/1/samagistro%20gvarakidze.pdf
28. https://openscience.ge/bitstream/1/40/1/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20%281%29.pdf
29. https://grass.org.ge/uploads/other/2019-03-28/409.pdf
30. https://blh.com.ge/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%8

3%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/

31. https://rm.coe.int/168070a54c